№ 148 23 მკათათვე, ქვირა 1866—1878 23 მკათათვე, ქვირა № 148

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გააბწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲬᲘᲜᲐᲜᲐᲣᲠᲝᲚᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲚᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲡᲐᲕᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 25 ᲛᲙᲐᲗᲐᲗᲕᲔᲡ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲬᲐ.

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

ᲤᲐᲡᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

ᲙᲔᲥᲢᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ ᲑᲘᲠᲭᲐ, 22 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	97	12
მეორესი — — — —	96	25
მესამესი — — — —	96	„
მეოთხესი — — — —	96	50
აღმოსავლეთის — —	95	50
ოქრო, 1/2 იმპერიალი—	7	77
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— —	„	„

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	234	25
მეორე სესხის — — —	233	75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი— —	25	58	პენსი
ამსტერდამი— —	128	50	ცენტი
ბერლინი— — —	216	75	ჰფენიგი
პარიჟი — — —	267	„	სანტიმი
კავკასის ნეფთი—	2	45	ფუთი
ამერიკის ნეფთი—	3	20	ფუთი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲐ

(წეოილი ᲐᲠᲢᲐᲜᲘᲓᲐᲛ)

ᲛᲡ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲪ გათავდა. ᲘᲛᲘᲡᲛᲐ წევრებმა იმთონი იკრუხეს, იმთონი ეტრფიალეს კვერცხებს, რომ ბოლოს ძლივს გამოჩიკეს ბლარტი და იმ ბლარტს დაარქვეს: „ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘ!“

ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ გათავდა და ყველას მიეცა იმედი, რომ ეს-ეს არის აგვცილდა ის მრისხოვანი ლრუბელი, რომელიც გვემუქრებოდა ჩვენ თავზე მეხის ტეხის გზავნას.

ᲝᲛᲘ გათავდა, სრული შერიგება მოხდა,—ამაზე ყველანი დარწმუნებული ვართ.

მაგრამ „ფიცი მრწამს, კუდი მაკვირვებს“! სანამ ჩვენი მღვდელი ბათუმში, ზღვის კიდეში, ჩანგლით თევზს არ დაიჭერს, მე არასფერს არ დავიჯერებ. . . .

როგორც ვერძოთ გვესმის, როგორღაც ოსმალებს ეძნელებათ ბათუმთან გამოსალმება და რაღაც ფაცა-ფუცში არიან დაიმედსაც არ იწყვეტენ.

ᲘᲛᲗᲝᲨᲘ ქითაბის მკითხაები მოლლები ცდილობენ, რომ ცუდი აზრი გაავრცელონ ჩვენზე.

ᲙᲔᲠᲞᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲐ ᲘᲥᲐ. ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ მთავრობას უწინ თურმე მოუწადინებია იარაღის ჩამორთმევა; მაგრამ ისინი არ დანებებულან. მშვიდობიანობის ღროსაც, ბევრჯერ მოხდებოდა, რომ თუ მთავრობა გააჯავრებდა ხალხს, ისინი ხარსკსაც არ გადიხდიდნენ ხოლმეო. Იარაღის ჩამოცლაზე უთქვამთ, რომ ჩვენ უ-სისხლოდ არც დავნებდებითო და არც იარაღს დავყრითო.

ᲓᲦᲔᲡ თუ ხვალ ჩვენ უნდა აჭარა დავიპიროთ—ორიენ აჭარა: ᲥᲕᲔᲛᲝ და ᲖᲔᲛᲝ. ᲛᲡ ᲮᲝᲛ აუცილებელია...

ᲩᲕᲔᲜ ᲯᲐᲠᲨᲘ, როცა ექით წავა, უეჭველად უნდა ჰყავდეს გამოცდილი და გზის მცოდნე და როგორც მეორე—მხნე პირი. მხნე პირებს ბევრს მოვნახავთ ჩვენ ᲯᲐᲠᲨᲘ, მაგრამ გზების მცოდნეს კი ცოტას. ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ჩვენ გვყავს ორი კაცი: უფ. მ. მეფისოვი და Შარიფ-ბეგი ხიმშიაშვილი; მაგრამ აქ პირველობა უნდა მივცეთ უკანასკნელს, როგორც მცოდნეს ადგილის მდებარეობისა, გზებისა, ხალხის ხასიათისა და იმისი მიმართულებისა. Შარიფ-ბეგმა იცის აჭარა, როგორც ყველა კანცელარიის ჩინოვნიკმა თავის საქმის ჩაქმაჯის ვითარება. ᲘᲛᲐᲡ ᲘᲥ ᲣᲪᲮᲝᲕᲠᲘᲐ, ᲘᲛᲐᲡ ᲘᲥ ᲣᲣᲤᲚᲘᲐ, ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲐᲓ და ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲓ.

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲑᲔᲕᲠᲜᲘ ᲘᲤᲘᲥᲠᲔᲑᲔᲜ, რომ იმას იქ ბევრი მტერი ჰყავს; ეს რომ ვიფიქროთ, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმას ორი თუ მტერი ჰყავს, ათი მოყვარე ჰყავს, ამიტომ რომ იმას თუ ერთისთვის სიავე უქმნია, ოცდა-ათისთვის სიკეთე უქმნია. ᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ რომ იმან იცის გზა და კვალი აჭარაში, ზნეობითაც მას შეუძლია ექონიოს გაელენა.

ᲩᲕᲔᲜ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲗᲗ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ, ᲐᲮᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲝᲗᲗ და ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲗᲗ მომავალის მომავალზე. Აჭარას ჩვენ დავიჭერთ, ეს უეჭველია; მხოლოდ ის არის საფიქრებელი, რომ დაჭერის შემდეგ ისე უნდა მოვეპყრათ, რომ იქაური ჩვენი მოძმების სიყვარული და ყურადღება მივიზიდოთ. ᲪᲮᲐᲓᲐᲗ და ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲐᲩᲕᲔᲜᲝᲗ ᲘᲛᲐᲗ, რომ იმათი მოლლების და ყადების ქადაგება და ჩაგონება და მეცადინეობა რომ ჩვენზე გაავრცელონ ცუდი ხმები ტყვილი მიქარვა იყო. Აქ თათრებისგან მესმის, რომ იმათ იმიტომ დასტოვეს ᲐᲠᲢᲐᲜᲘ და გაიფანტნენ შორს სოფლებში რომ ჩაგონებული ჰქონდათ მოლლებისაგან, თუ რუსის ხელში ჩავარდებიან ისინი, დაღლუპებიან, ცოლ-შვილი წაიბილწებიან და თვითონ-კაცებს დიდიდგან დაწყობილი პატარამდის თავები მოეკვეთებათ ან არა და პალოებზე იქმნებიან და იქმნებიან აცმული.

როცა ჩვენი იქმნება Აჭარა, აქ, უეჭველია, გაიხსნებიან სასამართლოები და სხვა-და-სხვა საამმართველოები. ᲐᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ აუცილებლად დაგვჭირდება მოხელეები-ჩინოვნიკები; მთავრობამ

ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ დაინიშნოს იქ იმისთანა კეთილ-სინიდისიანი, მცოდნე ქართულის და თათრულის ენის პირები, რომელთაც, არა თუ უნდა ეცადონ, რომ მარტო სამსახური აასრულონ სინიდისიანად, არამედ ზნეობითაც იქონიონ გავლენა ხალხზე. მაშინ მოიმედე უნდა ვიყოთ, რომ საქმე კარგათ წავა..

ს. ბავრელი

Ართაანი, 17-ს Ივლისს.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** Თფილისში არსდება ხ ე ლ ო ს ნ ე ბ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ე ბ ა, რომლის მიზანი სხვათა შორის იქნება, რომ Თფილისის ხელოსნებს დაეხმაროს როგორც თავის ხელობის კარგათ შესწავლაში და ნაწარმოების გასაღებაში, აგრეთვე იმათ ცხოვრების გაუჯობესებაში; გაჭირების დროს დაეხმაროება იმათ, ადგილს და საქმეს უშოვნის, თავის კასსიდამ დროებით ან სამუდამოთ ფულით შეეწევიან, ხელს მოუმართავენ აგრეთვე ღარიბ ხელოსნების ქვრივ-ოხრებსა და სხვ. და სხვ.

როგორც ჰხედავთ, მიზანი ძლიერ პატიოსანი და კეთილია. მაგრამ საქმე მიზნის ხეირიანად ასრულებაშია, და ვისურვოთ, რომ მომავალს საზოგადოებას ამ მხრით კეთილი ბოლო ჰქონოდეს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ Თფილისის ხელოსნების ამქრებს განზრახვა აქვთო, რომ თხოვნა შეიტანონ ქალაქის ბამგეობაში, რომლის შუამდგომელობითაც სთხოვენ უფ. Თფილისის ღუბერნატორს რომ მეყასპეებს ნება მიეცესთ, რომ ისევ ქალაქში სადმე დაჰკლან პირუტყვი. Ისინი ამბობენ, რომ იმის გამოვო, რომ პირუტყვის საკლავი ადგილი ნავთლულში არის გაკეთებულიო, ხორცი გაძვირდაო, საძაგელ ხორცს ჰყიდიანო, რადგან სანამ ექიმი იქ არის, კარგ საქონელს ჰკლავენო და წამოვა თუ არა, იმ წამსვე მამაკვდავ საქონელს წაიქცევენო, ხშირად აყროლებული, დამპალი ხორცი მოაქვთო ქალაქში და სხვ. და სხვ.

ხსენებული ამქრები ამბობენ, ადვილათ შესაძლებელიაო, რომ შიგ ქალაქში გაიმართოს სუფთა ადგილი საქონლის საკლავად, შეიძლებაო, რომ ღამით დაჰკლან ეს საქონელი, სისხლი და სხვა უწმინდურება მტკვარში ჩაუშვანო და გათენებამდინ მდინარე წყალი წაიღებსო.

Არ შეიძლება არ დათანხმდეს კაცი ამ მოსაზრებაზე, და ამიტომ იმედია, ქალაქის ბამგეობა და Თფილისის ღუბერნატორი ქალაქის ხელოსნებისა და ღარიბი ხალხის თხოვნას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ.

*** Ამ უკანასკნელ დროს კიდევ ხშირად მოგვდის საჩივარი ფოჩტაზედ. Ახალქალაქიდამ იწერებიან, სხვათა შორის, რომ ხანდისხან კვირა ისე გაივლისო, რომ ერთხელ ძლივს ვეღირსებით ფოჩტის მოსვლასაო. Ფოთი-Თფილისის რკინის გზის სტანციებისკენ მცხოვრებიც ემდურებიან, განსაკუთრებით გაზეთების გამომწერლები: ხშირად ჩვენს სახელზე მიღებულ ნომრებს ვინც მოიითხოვს, ყველას აძლევენო და სამი-ოთხი დღის შემდეგ ვხედავთო, რომ ეს ნომრები დაჭმუჭვნილი და დახეული ჰყრია სტანციაშიო.

შესანიშნავი და ყურადღების ღირსია, რომ როდესაც სხვას ვისმეს აქვს ფოჩტასთან რაიმე მოვალეობა, სასტიკად თხოულობს, რომ ამ სხვამ ეს მოვალეობა მტკიცედ აასრულოს და ამავე დროს თვითონ კი თავის მოვალეობას ასე ასრულებს.

*** Დუშეთიდამ გვწერენ საშინელს სიძვირეს: ფუთი ფქვილი რვა აბაზათ ისყიდებაო, სიმინდი—ექვს აბაზათ, ერბო თორმეტ მანეთად-და. სხვა ყველა ხორაგი ამის-და-გვარად ძვირობსო.

*** Სომხურს „მშაკში“ იწერებიან დუშეთიდამვე, რომ ამ ჟამად ჩვენს უეზდში გახშირებული წვიმები არის და პირუტყვის ჭირი გაჩნდაო.

*** Ბაქოს გაზეთში იწერებიან, რომ ამ ჟამად ბალახანის ნავთის წყაროებიდამ ძალიან ბევრი ნავთი ტყუილ-უბრალოთ იღვრება და ფუჭდებაო. სხვათა შორის, უფ. �белоვის ნავთის შადრევნიდამ მუდამ დღე გაუწყნარებლივ ამოდის ნავთი, დღეში უკანასკნელი 10-15 ათასი ფუთი იკარგება, მინდვრებსა და გზებზე იღვრებაო.

*** Ვლადიკავკაზიდამ გვატყობინებენ, რომ ოსებში მყოფს ერთს დეკანოზს რაღაცა ჯვარი მოსვლია და გახარებულ გულზე რამოდენიმე მღვდელი და ბლაღოჩინი დაუპატიჟნია სადილად. სადილი ტკბილად გაუთავებიათ, მაგრამ ბოლოს შეზალხოშებული მასპინძელი და ერთი მღვდელი რაღაცაზედ წალაპარაკებულან და მასპინძელს ერთი ლაზათიანი სილა უკმევია მღვდლისათვის; მღვდელსაც ბევრი არ უფიქრნია, აუღია და ღვინით სავსე სტაქანი უთხლეშია თავის მოწინააღმდეგესათვის; შემდეგ სცემიან ერთმანეთს და იმდენი უცემიათ, სანამ მე და შენ არ ბიეშველეთ..

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲮᲣᲪ-ᲣᲑᲐᲜᲘ, 15 Ივლისს. Თითქმის დღე არ გაივლის ისე, რომ ქობულეთიდგან არ მოვიდნენ ჩვენს ბანაკში თუ წვრილი ვაჭრები და თუ უბრალო მცხოვრებლები და არ მოიტანონ კარაქი, ერბო, გამომცხვარი პური და სხვა ყოველ გვა-

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

(ნაამბობი Ასლან ბებუთოვისაგან)

რაც Ერეკლე მეორეზე ამბები დარჩენილა საქართველოს ხალხში, მგონია, არც ერთ საქართველოს მეფეზე არ უნდა იყოს იმდენი დარჩენილი და ზეპირათ დახსომებული. Ამ რამოდენიმე წლის წინათ ისე მოხუცებულს ვერა ნახავდით, რომ მას Ერეკლეზე ამბები არა ეთქვა-რა. Ეს გარემოება ერთის მხრით იმას მიეწერება, რომ Ერეკლე მეორეს დრო უფრო ახლოს არის ჩვენს დროსთან და მეორეს მხრით ისეთი ისტორიული შემთხვევები და გარემოებანი არცერთი ჩვენი სხვა მეფის დროს არ მომხდარა რაც Ერეკლე მეფის დროს ხდებოდა.

რასაკვირველია, ძალიან კარგი იქნება, რომ შეიკრიბნენ მასზე დარჩენილი ამბები, რადგანაც ამ ჟამად ცოტა კიდევ ახსოვს ხალხს; მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ამ გვარი შრომის მიმდევარი ჩვენში ამ ჟამად სრულიად არავინ მოიპოება.

მე მომყავს მასზე ერთი გაგონილი ამბავი, რომელიც მის სახლთ-უხუცესს Ასლანს უამბნია ერთი თავის შინ გაზდილ ყმისათვის.

Ერთხელ მეფე Ერეკლე ავათ იყო და წამალსა ჰხმარობდა. Ამ დროს სპარსეთიდგან Ყენის ბრძანებით ერთს ხანს გამოულაშქრია საქართველოზე, რადგან იმედი ჰქონდათ, Ერეკლე ავათ არისო და დავამარცხებთო. Ეს რომ Ერეკლემ გაიგო, ძალიან შეწუხდა, რადგანაც არც ჯარი ჰყავდა მომზადებული და არც მასალაც ჰქონდა. Ერეკლემ სამეფოს რჩეული პირების დათანხმებით, გამართა წერილების წერა და შიკრიკების გზავნა სპარსეთში.

სხვათა შორის, ერთხელ მისწერა Ყენინს, რომ ტყუილ-უბრალოთ ნუ ემზადებით აქ წამოსასვლელათ, ვერაფერს ვერ მიიღებთ, რადგანაც ამ ჟამად რუსეთიდგან დიდ ძალი ჯარი მახლავს, და სულ ერთიან ისე დაგიხოცენ ჯარს, რომ შინ მოანბე ვერავინ გაბრუნდეს. Თუ მაინცა-და-მაინც ომი გინდა, მე ერთ რამეს მოგახსენებო, აღარც სისხლის ღვრა, არც ერთი, არც მეორე: ჩვენ ვიჭიდნეთ და რომელიც მოერიოს, იმან ამდენი და ამდენი გამოართოს მეორეს.

Ამაზე Ყენინ დათანხმებულა და შემდეგ რამოდენიმე დღისა თავის კარგის ფალავნებით და ამალით და დიდის სიმდიდრით წამოსულა საქართველოში. Ერეკლემ დიდი სამზადისი გასწია; შემდეგ ბევრის ქეიფისა და დროების გატარებისა, ვამზადეს ერთს ბაღში საჭიდაო ალაგი; დაფინეს ხალები, Ერეკლემ შეჰყარა საქართველოს წარმომადგენელი პირები და დადეს ეს პირობა: თუ Ყენინ დასცემდა, მეფე Ერეკლეს უნდა Ყაზახ-ბორჩალო მიეცა; თუ Ერეკლე დას-

რი ხორაგეული და ხილეულობა.

რამდენიმე საათს რჩებიან ხოლმე ჩვენს ბანაკში; დიდის სიამოვნებით გვემასლაათებიან სხვა-და-სხვა ამბებზე და შემდეგ მეგობრულად გვშორდებიან და მიდიან.

მე ხშირად შემხვდება ხოლმე ამათთან ლაპარაკი და თან-და-თან უფრო ერწმუნდები, რომ ამათსა და გურულებს შორის თითქმის არაეითარი განსხვაებება არ არსებობს: ერთი-და-იგივე ენა, ერთნაირი ხასიათი (ჩქარი, ფიცხელი), ერთნაირი მიხვრა-მოხვრა, ჩვეულებები, ცრუმორწმუნოება და სხვ.

მომეტებულ ნაწილმა ამათგანმა თათრული სულ არ იციან და, თუმცა მაჰმადიანად ითვლებიან, მაგრამ თათრულად არც ლოცულობენ.

ერთმა ქობულეთელმა მითხრა, რომ როდესაც ავათ გავხდებით, ან სხვა რაიმე გაჭირება გვაქვს და არაფერი წამალი არ მოგვიდგება, მაშინ საწირაეს წავიღებთ ძველათგან დარჩენილს ქრისტიანის ეკკლესიების ნანგრევშიო, ქათამს და პურს მივიტანთო, შევესწირავთო და ჩვენი გაჭირებისაგან გავთავისუფლდებითო.

ამათ კარგათ იციან ყველამ, რომ ეს ახლანდელი ეკკლესიის ნანგრევები ერთ დროს იმათი მამა-პაპის—ქართველების ეკკლესიები ყოფილან და მიაჩნიათ, პატივს სცემენ.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ, როდესაც ერთხელ-ორჯელ უთხარი: თუ ესე მიგაჩნიათ ქრისტიანის ეკკლესია, რატომ „ქართველების სარწმუნოებას“ არ ეძიებთ-მეთქი. ეს ჩემი სიტყვები ისეთ ნაირად იწყინეს და ისე განზე დამიწყეს ყურება, რომ ახლა ამ გვარს საგნებზე ჩემს დღეში აღარ ველაპარაკები. როგორც ყველგან მაჰმადიანებს, აქაურებსაც თავიანთი სარწმუნოება საუკეთესო სარწმუნოებად მიაჩნიათ სააქაოსთვის და საიქაოსთვისაც და ამ სარწმუნოებაში ფანატიკები არიან.

ამას წინათ ერთს ქობულეთელს ველაპარაკებოდი და ამ დროს თქვენი გაზეთი მივიღე. ქობულეთელმა იმწამსვე მთხოვა—წამიკითხე, რა სწერია, რა არის ახალი ამბავიო. მე გადავავლე გაზეთს თვალი და სხვათა შორის უთხარი, აქ სწერენ, რომ ომი გათავებულა, მორიგება მომხდარა და ბათუმი ჩვენ დაგვრჩენია-მეთქი.

ჩვენთან ვაჭრობის დროს ჩვენს ფულს არჩევენ თავიანთზე. ერთს აქაურს ბიმბაშს (ათასის თაეს) ჰყავდა მშვენიერი არაბული ცხენი გასასყიდელი. შეეეჭრე. მითხრა: —თუ თქვენ ფულს მომცემთ, თხუთმეტ თუმანს დაგჯერდებიო და თუ თათრულს ფულს მომცემ, სამას მანეთზე ნაკლებ არ დაგითმობო.

ეტყობა, რომ ბათუმში და საზოგადოთ აქეთკენ დაყენებული ოსმალოს ჯარი ძალიან დაღალულია და ძალიან გაუხარდათ, როცა შეიტყეს, რომ ომი აღარ არის და მშვიდობიანობა დამყარდა. ქობულეთლებს, მთის ხალხს კი ეს ამბავი არაფრად ეჭაშნიკათ, რადგან ამათ „საშოვარი“ მოაკლდებათ.

ამბობენ, ვითომც რიონის ატრიადის უფროსს ღენ. ოკლობჟიოს კაცი გაეგზავნოს ბათუმში დერვიშ-ფაშასთან და ბათუმის დათმობა ეთხოვნოს. მაგრამ იმას თავის ჩვეულებრივი პასუხი შემოუთვლია: სტამბოლიდამ ბრძანება, ისტრუქცია, არა მაქვს მიღებულიო და ვერ შემიძლიანო; როცა მივიღებ, დიდის სიამოვნებით დაგითმობთო.

ზ. შ.

ომის შემდეგ

ოსმალეთი

სომხების ქოსტანტინოპოლელ პატრიარქს გაუგზავნია მცირე აზიის სხვა-დასხვა ქალაქებში კაცები, რომელთაც მინდობილი აქვს, აცნობონ იმას, თუ ქურთებმა ან სხვა ვინმემ შეაწუხოს და ან სხვა რაიმე შეურაცხყოფა მიაყენოს ქალაქურ სომხებსა.

— ლონდონის გაზეთს „დაილი ტელეგრაფში“ იწერებიან სტამბოლიდამ 10 იელისს:

„აქ მოვიდა ამბავი, რომ ბათუმის, არტაანის, ყარსისა და ტრაპიზონის მცხოვრებლების დეპუტატები შეიკრიბნენ და გადაწყვიტესო, რომ უკანასკნელ ღონის-ძიებამდინ იბრძოლონ და არ დათანხმდნენ რუსეთთან შეერთებასაო.“

რუსული გაზეთები, რომლებშიაც ეს ამბავი არის ამოყვანილი, ამბობენ, რომ ეს ცნობა ტყუილი, მოგონილი ცნობა არისო.

რუსეთი

გაზეთს „ბოლოსში“ დაბეჭდილია რომ შარშანდელი წლის 1 ნოემბრიდამ ვიდრე წლევანდელ 31 მარტამდინ კავკასიის არმიაში სულ 21,734 კაცი იყო საოფლით ავათაო და ამ რიცხვიდამ 8,405 კაცი მოკვდაო. ყველაზე უფრო მომეტებული ხალხი საღანლულის ატრიადში დახოცილა, რომელიც მაღალ ადგილებზე იყო დაბანაკებული და შეშასა და თფილ ტანთ-საცმელს იყო მოკლებული.

— „მოსკოვის უწყებების“ სან-სტეფანოელი კორესპონდენტი იწერება, რომ რუსის ჯარები და ინგლისის ფლოტი სტამბოლის მახლობლად იმავე ადგილებზე დგანან, სადაც ადრე იდგნენო. რუსის არმიის მთავარ-სარდალს ღენ. ტოტლებენს მოუვიდა ბრძანება, რომლის ძალითაც, სანამ შუმლასა და მარნას არ დაგვითმობენ ოსმალები (შუმლა დაუთმეს), მანამ სტამბოლს არ უნდა მოაშოროს თავის არმია.

საფრანგეთი

ვენგრიულს გაზეთს „პეშტის ლლოიდში“ იწერებიან შემდეგ ამბავს:

ცემდა, ყეენს უნდა მიეცა თავის ქამარ-ხანჯალი, ხმალი ასი აქლემი, საქონელი და სპარსეთში წაყვანილი ტყვეები ქართველები უნდა გაენთავისუფლებინა.

ყეენი დათანხმდა ამაზე; დაკვრევინეს მეზურნეებს საჭიდაო ზურნა და დაიწყეს ჭიდაობა. ერეკლემ იმას ქამარში წაავლო ხელი და ყეენმა ახალუხში, რადგანაც ერეკლეს ქამარი არ ეკრა. ერეკლემ უგდო ქამანდი და დასცა... ზურნაც გაჩუმდა... ყეენმა იმ წამსვე თავისი ქამარ-ხანჯალი თავის ხელით შემოარტყა ერეკლეს; ამასთანავე სპარსეთში შიკრიკი გაგზავნა და შეუთვალა: რაც მანდ ქართველი ტყვეები არის, საჩქაროთ გამომიგზავნეთ, აგრეთვე ასი აქლემი და სპარსეთის საქონელი. რამდენიმე ხნის შემდეგ ზემოხსენებული ყველაფერი მოუვიდათ და ყეენი დაბრუნდა სპარსეთში.

აი ეს ლექსი, რომელსაც ძველი ქართველი გლეხები და მესტვირები მღერობენ ღა ხოლმე რომელიც ამ შემთხვევას ეკუთვნის:

ერეკლემ დასცა ყეენი, მეფე არის ქართველისაო,
პატარა ქახი მუდამ ქამს გამძლები არის მტრისაო,
საითაც მიდის და მოდის, ლურჯაზე კოხტად ზისაო,
თოფი და ხმალი მხარს აკრავს, მტერსა დაჰხოცავს ღვთისაო!

—

ჰოი, პატარა ბატონო, ერეკლე მეფის ძისაო,
ყმა შენი ღმერთსა გავედრებს, რომ ძალა მოგცეს მტრისაო;
ვით სპარსეთიდგან დაიხსენ ტყვენი მრავალი ხნისაო,
მის მაგიერი გამჩენმა მოგცეს მუქაფი ღვთისაო.

—

ბატონი ჩვენი ირაკლი დღეს არის გამარჯვებული,
მთელი სპირსეთი შეიძრა, არიან შეძრწუნებული;
ყარსიდგან დარუბანდამდე მტერი ჰყავს დამონებული,
სხვა არა თქმულა მეფეი მისებრივ თავდადებული.

—

უძლიერესი მეფეთა, შემკული ყოველის ფრითაო,
წმინდა ნინოი შემწედ ჰყავს, დაღისტანს ებრძვის ხმლითაო,
სადაც რო მტერი აღუჩნდა, დაიმორჩილა თვითაო,
ასე ყოფილა ყოველ ქამს, ასეც იქნება ღვთითაო!..

ეს ამბავი, როგორც ზევით მოგახსენეთ, მიამბო ერთმა მოხუცებულმა კაცმა, რომელმანც დამარწმუნა, რომ თ. ასლან ბებუთოვისაგან გაუგონია. საქმე იმაში როდია: მართლა მომხდარა ეს შემთხვევა, თუ არა; საქმე იმაშია—თუ როგორი გამოხატულება აქვს ჩვენს ხალხს მეფე ერეკლეზე, იმის მხნეობაზე, ჭკვის გამჭრიახობაზე და ძალაზედ...

ზ. მოაწმინდელი

„ჩვენ მოგვივიდა პარიჟიდამ ნამდვილი ამბავი, რომ საფრანგეთის მინისტრს ვადინგტონსა და ინგლისის—მარკიზ სალისბიურის შეუკრავთ პირობა, რომლის ძალითაც, თუ ვინიცობაა ოდესმე ამ ორ სახელმწიფოს რუსეთთან შეტაკება მოუხდათ, ორივე ერთად იმოქმედებენ რუსეთის წინააღმდეგ.“

საბერძნეთი

ბერძნული გაზეთი „Ათინის მოამბე“ იწერება, რომ ᲝᲡმალეთის მთავრობა დაპირდა ჩვენსასაო, რომ ის ეცდება დააკმაყოფილოს საბერძნეთის მოთხოვნილებაო, და ამ ნაირად იმედი არისო, რომ ეს განხეთქილება ჩვენსა და ᲝᲡმალეთს შუა მშვიდობით გათავდესო.

— ინგლისური გაზეთის „დაილი ნეუსისის“ სიტყვით, ბერძნები ძალიან გაჯავრებულები არიან ინგლისზედ, რომელმანც ქიპრის შეძენის გულისათვის მიატოვა იმათი მომხრეობა და ᲝᲡმალეთს მიუდგაო.

ამავე გაზეთის სიტყვით, ᲝᲡმალები ყოველი შემთხვევისათვის ემზადებიან ბერძნებთან საბრძოლველად და თუ მართლა ბრძლო აუტყდათ, ჯარების უფროსად ᲝᲡმან-ფაშას ნიშნავენო.

— ზოგიერთს უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, რომ, თუ ᲝᲡმალეთსა და საბერძნეთს შუა ომი ატყდა, საფრანგეთი უეჭველად გაერევა ამ ომშიო და ეცდებაო, რომ ამ შემთხვევით ისარგებლოს ისე, როგორც რუს-ᲝᲡმალოს ომით ინგლისმა ისარგებლაო.

ნარევი

ამ ორი კვირის წინათ პარიჟში უდღესასწაულებიათ გამოჩენილის მწერლის ჟაკ-ჟაკ რუსსოს იუბილეი, რადგან ამ დღეს შესრულდა ასი წელიწადი მას აქეთ, რაც ეს მწერალი მოკვდა.

დიდძალი ხალხი შეგროვილა ერთს პარიჟის ცირკში; სხვათა შორის, ლუი ბლანსა და მარკუს წარმოუთქვამთ სიტყვები, პირველს ჟან-ჟაკ რუსსოს მნიშვნელობაზედ და მეორეს საფრანგეთის დიდს რევოლიუციაზედ.

* * *

პრაგის მუნიციპალიტეტს (ქალაქის გამგეობას) დაუდგია განჩინება, რომლის ძალითაც ქუჩაში მოსიარულე ქალებს აღკრძალული აქვთ გრძელ-კუდიანი კაბების ტარება, „რადგან ისინი ამტვერებენ ქუჩებს და ამით მცხოვრებლების ჯანმთელობას ვნება ეძლევაო.“

* * *

ამერიკის გაზეთებში იწერებიან, რომ ნიუ-იორკში გამოჩენილა ერთი ვიღაც გასაკვირველი თოფის მსროლელი, რომელიც პატარაობითვე ბარბაროსულ ინდოელებისაგან ყოფილა დატუსაღებული და ახლა როგორღაც განთავისუფლებულა. ᲝᲡ კაცი უ. ქარვერი ისეთნაირად არის თურმე დახელოვნებული, რომ შაურიანის ოდენა ჭიქის ბურთს აუგდებენ მაღლა 20 — 30 ნაბიჯზე და ესვრის თურმე ის ზედი-ზედ ორჯერ. იმას შეუძლიან ფეხზე მიიბჯინოს თოფი, ისე დაუმიზნოს და მოარტყას რასაც დაუნიშნავენ, საცა კი თოფის ტყვია მიაწვევს. ბაჭენებულ ცხენიდამ მიურტყამს იმას თოფი რამდენჯერმე შაურის ოდენა ბურთისათვის, რომელიც 40 ნაბიჯზედ აუგდიათ.

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება „ᲪᲚᲚᲘ ᲕᲘᲢᲘᲠᲚ, ᲗᲣ ᲤᲣᲚᲘ?“ კომედია აღ. თუთაევისა

ისყიდება: ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ [illegible] წიგნის მაღაზიებში და [illegible] ᲬᲘᲛᲨᲔᲠᲝᲕᲘᲗᲐᲜ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ—ᲘᲝᲡᲔᲑ ᲙᲣᲜᲫᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲗᲐᲜ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ—ᲓᲐᲕᲘᲗ ᲫᲔᲠᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘᲗᲐᲜ, ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲥᲐᲗᲣᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲡᲣᲠᲐᲛᲡ — ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲐᲠᲣᲬᲝᲕᲘᲗᲐᲜ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ—ᲘᲐᲙᲝᲑ ᲝᲕᲐᲜᲔᲖᲝᲕᲘᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲕ. ᲪᲔᲠᲕᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲨᲝᲗᲨᲘ—ᲛᲚᲘᲡᲑᲐᲠ ᲑᲐᲑᲐᲚᲝᲕᲘᲗᲐᲜ, ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ—თ. ᲘᲕ. ᲗᲐᲥᲗᲐᲥᲝᲕᲘᲗᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲨᲔᲗᲘᲡ—თ. ᲜᲘᲙ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲛᲔᲯᲕᲠᲘᲡᲮᲔᲕᲘᲡ—ᲛᲐᲡᲬ. ᲛᲝᲡᲔ ᲜᲐᲗᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ, ᲖᲝᲠᲨᲘ—სტ. ᲖᲝᲛᲝᲕᲔᲕᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐᲜ.

გაიხსნა თფილისში

ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ᲥᲐᲨᲕᲔᲗᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ქვემოთ დუქნებში, № 2.

ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲫᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ „ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ“ ქართული

„სამზარეულო წიგნი“

შედგენილი კნა ბარ. ჯორჯაძისაგან. ᲤᲐᲡᲘ ᲐᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ „ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ“ ქართული ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝ ᲬᲘᲒᲜᲘ“. შედგენილი კ-ნ. ბარ. ჯორჯაძისაგან. ᲤᲐᲡᲘ ᲐᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ᲖᲝᲠᲘ . .	11	58	9	43	2	40	1	33
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . .	1	29	11	57	3	92	2	18
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ. . .	1	44			4	42	2	46
ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐ .	5	49			5	81	3	23
ᲠᲘᲝᲜᲘ. . .	6	57			6	75	3	75
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ .	7	51			7	73	4	29
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ .	8	43			8	57	4	76
ᲨᲝᲗᲘ. . .	9	50			9	75	5	42
ᲨᲝᲗᲘ . .	9	83						
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ.	10	14			1	18	-	66
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ.	11	5			2	6	1	14
ᲠᲘᲝᲜᲘ . .	12	13			3	4	1	69
ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐ. .	1	18	ᲦᲐᲛᲔ		3	98	2	21
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . .	5	39	1	37	5	84	3	24
ᲖᲝᲠᲘ . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ .	9	31	7	56	9	75	5	42

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	მ.	კაპ
ᲝᲪᲘ სიტყვა ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:		
ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, ᲨᲝᲗᲘᲡ . .	1	—
ᲖᲝᲠᲘᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ, ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘᲡ	-	50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ, ᲝᲓᲔᲡᲐᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ	2	—
�პᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ . .	2	—
ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ და საფრანგეთში.	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ: სამზღვარ გარეთ, ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, რუსეთს—ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ კვირას გარდა. ᲖᲣᲒᲓ. ᲝᲠᲨ. და სამშ. ᲝᲖᲣᲠ.—პარასკ. და ᲝᲠᲨ. ᲥᲐᲮᲔᲗᲘᲡ—სამშ. და შაბ. ბ) ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ და ᲨᲝᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ—ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა. ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ—ᲝᲠᲨ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ᲚᲘᲐ წიგნის	4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (სამი მისხალი) .	8

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	მან	კაპ
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ. 22 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ.		
ᲤᲥᲕ. თეთ. ᲑᲐᲜᲯᲘᲡ, ᲤᲣᲗ.	1	50
ᲤᲥᲕᲘᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ. . .	1	30
ᲭᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ . . .	1	15
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	7	—
—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ . .	7	50
ᲑᲐᲠᲔᲜᲔᲑᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ᲤᲣᲗᲘ.	10	—
ᲛᲐᲢᲚᲘ თუშური ᲤᲣᲗ. .	8	—
—ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ. .	4	—
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲮᲣᲠᲘ ᲮᲢ.	2	—
ᲭᲝᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ. . .	6	40
ᲭᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ.	9	—
ᲡᲢᲔᲤᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ, ᲤᲣ.	12	70
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲠᲝᲮᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢ.	—	81
—ᲪᲮᲕᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ. .	—	81
ᲡᲠᲘᲢᲘ, ᲕᲔᲓᲠᲝ . .	5	20
ᲨᲐᲭᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	7	0
—ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . .	6	40
ᲣᲐᲕᲐ ᲒᲠᲒᲕᲐᲚᲘ, ᲒᲘᲠᲒ. .	—	70
ᲖᲔᲗᲘ ᲥᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ.	13	—
ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝ, ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲤᲣᲗᲘ	8	50

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲥᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ მაედანზე, ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲝᲕᲘᲡ სახლებში.

ᲐᲕᲗᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ მიიღებენ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა, დილის 9—1 მწირ.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲛᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪ—ᲮᲐᲠᲣᲠᲒᲘ, ᲑᲐᲠᲐᲚᲔᲕᲘᲩᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲗᲛᲧ.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ, ᲠᲘᲘᲡ და ᲑᲐᲮᲣᲢᲝᲜᲘ—ᲑᲔᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ თვალის.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ—ᲨᲘᲜᲐᲒᲜᲘ ᲐᲕᲗᲛᲧᲝᲤᲝ., ᲑᲐᲙᲘᲢᲘ—ᲒᲣᲚᲘᲡ და ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲗᲛᲧᲝᲤ.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ — ᲨᲘᲜᲐᲒᲜᲘ ᲐᲕᲗᲛᲧᲝᲤ. ᲑᲐᲕᲠᲘᲜᲡᲙᲘ—თვალის და ᲠᲑᲠᲔᲚᲢᲘ—ᲙᲑᲘᲚᲘᲡ.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ—ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲗᲛᲧᲝᲤ. ᲑᲐᲮᲣᲢᲝᲕᲘ და ᲛᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪ.

ᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ ᲨᲘᲜᲐᲒᲜᲘ ᲐᲕᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ., ᲠᲘᲘᲡ—თვალის ᲐᲕᲗᲛᲧᲝᲤ. და ᲑᲐᲙᲘᲢᲘ—ᲒᲣᲚᲘᲡ და ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Іюля 1878 г. Типографія Меликова. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ. ᲛᲔᲡᲮᲘ.